## ხელშეკრულება № 25
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

30 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების N15 საბავშვო ბაგა-ბაღი („შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის მ/შ ლიანა ჯანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „2+1"-ის („შემდგომში„მიმწოდებელი") სახით უფლებამოსილებით, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 ხელშეკრულების საგანია: საკანცელარიო ნივთების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია:

| № | საქონლის კოდი | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდ. | ერთ. ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 30192130 | ფერადი ფანქარი 12 ფ მ3-183212 | ცალი | 8 | 4 | 32 |
| 2 | 22815000 | რვეული ა4 96 ფ | ცალი | 5 | 2.5 | 12.5 |
| 3 | 22815000 | რვეული 48 ფ განიერი | ცალი | 10 | 0.7 | 7 |
| 4 | 22852100 | ფაილი 100 ცალიანი ა4 ეჰ–3530 | შეკვრა | 1 | 4.5 | 4.5 |
| 5 | 30192133 | სათლელი მ3-063211 | ცალი | 5 | 0.6 | 3 |
| 6 | 30192100 | საშლელი კოხინორი 6541~60 | ცალი | 5 | 0.3 | 1.5 |
| 7 | 30192121 | კალამი | ცალი | 25 | 0.3 | 7.5 |
| 8 | 30192130 | შავი ფანქარი მ3-851722 | ცალი | 2 | 0.5 | 1 |
| 9 | 22815000 | რვეული 12 ფ | ცალი | 2 | 0.2 | 0.4 |
| 10 | 30192160 | კორექტორი ფუნჯი 283 | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 11 | 22320000 | მისალოცი ბარათი 639 | ცალი | 4 | 0.6 | 2.4 |
| 12 | 30197120 | ჭიკარტი ვერცლისფერი 0020 | ცალი | 3 | 0.5 | 1.5 |
| 13 | 22816300 | ოქსოვადი წებოვანი ქაღალდი | ცალი | 10 | 1.3 | 13 |
| 14 | 22816300 | ფერადი ქაღალდი | ცალი | 1 | 8.5 | 8.5 |
| 15 | 30194100 | სახაზავი ჰხ 0031 | ცალი | 6 | 0.6 | 3.6 |
| 16 | 22816100 | ბლოკნოტი 1332 | ცალი | 4 | 7.5 | 30 |
| 17 | 22852000 | 80 ფაილიანი საქაღალდე კს 80 | ცალი | 4 | 4.5 | 18 |
| 18 | 22813000 | მემორიალური ორდენი | ცალი | 2 | 1 | 2 |
| 19 | 22816300 | ჩასანიშნი წებოვანი ქაღალდი39853 | ცალი | 2 | 3.8 | 7.6 |
| 20 | 44424200 | სკოჩი პატარა 30013 | ცალი | 12 | 0.2 | 2.4 |
| 21 | 24952000 | პლასტელინი 10 ფერიანი გამა | ცალი | 10 | 3.8 | 38 |
| 22 | 30192121 | კალამი LG-920 | ცალი | 3 | 3.5 | 10.5 |
| 23 | 44424200 | თერმული ლენტი | ცალი | 2 | 4.5 | 9 |
| 24 | 22993400 | ფერადი მუყაო | ცალი | 3 | 1.5 | 4.5 |
| 25 | 30194100 | ვატმანი სახატავი ფურცელი | ცალი | 8 | 0.8 | 6.4 |
| 26 | 30192121 | კალამი 555 | ცალი | 1 | 0.2 | 0.2 |
| 27 | 24910000 | წებო მშრალი 1502-36 | ცალი | 2 | 0.5 | 1 |
| | | | | | | სულ: 230 |

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 230 (ორას ოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 5 ივლისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და შესაბამისი დოკუმენტი).

6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

*9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 5 აგვისტომდე.

*10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

*11. ფორს-მაჟორი*

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

*12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ბაღის დირექტორის მ/შ – ლიანა ვანიშვილი.**
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*14. სხვა პირობები*

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

[illegible] ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის
სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო
დაწესებულების N15 საბავშვო ბაგა-ბაღი
მის: ქ.გორი, გორგასლი ქ.N6
ს/კ: 218078372
ბანკი: სს ". ლიბერთი ბანკი"
ა/ა: GE17LB0120183250154000

„მიმწოდებელი":

შპს 2+1
მის: გორი, ჭავჭავაძის ქ.N47/2
ს/კ-პ/ნ 418465529
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ა/ა: GE10TB7923036020100004

დირექტორი: / ლ. ვანიშვილი/

/კ.ბერიძე/

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. გორი

30 ივნისი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების N15 საბავშვო ბაგა-ბაღი, მისი დირექტორის მ/შ ლიანა ვანიშვილის სახით, „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ შპს „2+1“ მისი წარმომადგენელი კონსტანტინე ბერიძის სახით, „მიმწოდებლად“ წოდებული ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 30 ივნისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა“ შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა„ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.
ღირებულებამ შეადგინა -230 *(ორას ოცდაათი) ლარი.*

„მიმწოდებელი“

შპს „2+1“

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულების N 15 საბავშვო ბაგა-ბაღი